

საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის ძირითადი პირობები

1. გამოყენებული ტერმინები

- 1.1. საბარათე ანგარიში - ბანკში გახსნილი კლიენტის ანგარიში, რომელზეც დაიშვება საკრედიტო ლიმიტი („დაშვებული საკრედიტო ლიმიტი“) და აისახება ბანკის მიერ გაცემული საერთაშორისო საბანკო ბარათით (შემდგომ „ბარათი“) შესრულებული ოპერაციები.
- 1.2. ათვისებული ლიმიტი - დაშვებული საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში გახარჯული საკრედიტო ლიმიტი.
- 1.3. გახარჯული საკრედიტო ლიმიტი - დაშვებული საკრედიტო ლიმიტის საფუძველზე კლიენტის მიერ მიღებული/გადახდილი თანხები და შესაბამისი საკომისიო (განაღების და ა.შ.), ამასთან მხარეებისათვის ცნობილია, რომ განაღების საკომისიოს გათვალისწინებით, გახარჯული ლიმიტი შეიძლება აღემატებოდეს დაშვებული ლიმიტის ოდენობას.
- 1.4. წლიური საპროცენტო განაკვეთი/სარგებელი - განისაზღვრება შესაბამისი დანართით (ტარიფები) და არის ათვისებულ საკრედიტო ლიმიტზე დარიცხული პროცენტი, რომელიც გამოითვლება 365 კალენდარულ დღეზე გაანგარიშებით.
- 1.5. მინიმალური გადასახადი - საკრედიტო ლიმიტით სარგებლობისას კლიენტის მიერ გადახდის თარიღისათვის/თარიღამდე გადასახდელი თანხის ოდენობა, რომელიც შეადგენს ბილინგის დღისათვის დაშვებული საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში გახარჯული საკრედიტო ლიმიტის 10 (ათი) პროცენტს, დარიცხულ საპროცენტო სარგებელს და პირგასამტეხლოს (მათი არსებობის შემთხვევაში). ამასთან, თუ გახარჯული ლიმიტი აღემატება დაშვებულ ლიმიტს, მინიმალური გადასახდელი სრულად მოიცავს მათ შორის სხვაობას.
- 1.6. გადახდის დღე - ბილინგის დღიდან 25–ე დღე. თუ აღნიშნული თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ გადახდის დღედ მიიჩნევა შემდეგი სამუშაო დღე.
- 1.7. ბილინგის დღე - ყოველი კალენდარული თვის 5 რიცხვი,
- 1.8. ვადაგადაცილება- გარემოება, როცა მინიმალური გადასახადი გადახდილი არ იქნება გადახდის დღის 21 საათამდე.
- 1.9. სამუშაო დღე - წლის ნებისმიერი კალენდარული დღე, გარდა შაბათ-კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უქმე დღეებისა.
- 1.10. ვადაგადაცილებული დავალიანება - კლიენტის დავალიანება ბანკის წინაშე, რომელიც არ არის დაფარული წინამდებარე პირობით გათვალისწინებული წესით და ვადებში.
- 1.11. ბარათის ბლოკირება -კლიენტის მიერ წინამდებარე პირობების დარღვევისათვის საბარათე ანგარიშზე ოპერაციების წარმოების დროებით შეჩერება (ბარათი თავსდება ლოკალურ სტოპ-სიაში, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში, ბანკის შეხედულებისამებრ - საერთაშორისო სტოპ-სიაში).

2. საკრედიტო ლიმიტის დაფარვის წესი

- 2.1. მინიმალური გადასახადის ყოველთვიურად დაფარვა სავალდებულოა გადახდის თარიღისათვის¹, წინააღმდეგ შემთხვევაში კლიენტს დაეკისრება ტარიფებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს გადახდა.
- 2.2. გადახდის თარიღისათვის კლიენტის მიერ გახარჯული ლიმიტის სრულად დაფარვის შემთხვევაში, საკრედიტო ლიმიტით ნასარგებლებ პერიოდზე, ათვისებულ ლიმიტს არ დაერიცხება წლიური საპროცენტო განაკვეთი, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლიენტს ათვისებულ საკრედიტო ლიმიტზე ერიცხება წლიური საპროცენტო განაკვეთი საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის მთელ პერიოდზე.

¹თუ გახარჯული ლიმიტი აღემატება დაშვებულ ლიმიტს, მათ შორის სხვაობის დაფარვის ვალდებულება კლიენტს ეკისრება სხვაობის წარმოშობისთანავე და მისი გადახდის ვალდებულება არ გადავადდება გადახდის თარიღამდე.

- 2.3. ამასთან, თუ საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის დროს დაშვებულ და გახარჯულ საკრედიტო ლიმიტებს შორის წარმოიშვა სხვაობა, აღნიშნულ სხვაობას წარმოშობიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაერიცხება პირგასამტეხლო ტარიფების შესაბამისად.
- 2.4. გადახდის თარიღისთვის მინიმალური გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს ბარათის ბლოკირება. კლიენტს ეკისრება ბარათის ბლოკირების საკომისიო (ასეთი არსებობის შემთხვევაში). ბარათის გააქტიურება მოხდება ვადაგადაცილებული დავალიანების სრული დაფარვისთანავე.
- 2.5. გადახდის თარიღიდან 45-ე დღეს მინიმალური გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში საკრედიტო ლიმიტი უქმდება. საკრედიტო ლიმიტის გაუქმება ბანკს ანიჭებს უფლებას შეწყვიტოს წინამდებარე პირობით განსაზღვრული მომსახურება და მოითხოვოს გახარჯული საკრედიტო ლიმიტის, დარიცხული საპროცენტო სარგებლის და პირგასამტეხლოს დაუყოვნებლივი დაფარვა.
- 2.6. თუ ბანკი ცალმხრივად შეწყვეტს საკრედიტო ლიმიტით მომსახურებას, ბანკის მიერ პროცენტის დარიცხვა გრძელდება საკრედიტო ლიმიტის გაუქმების შემდეგ დარჩენილ დავალიანებაზე.
- 2.7. დავალიანების დაფარვისას პირველ რიგში იფარება დაშვებულ და გახარჯულ ლიმიტს შორის არსებულ სხვაობაზე დარიცხული პირგასამტეხლო, შემდეგ დაშვებულ და გახარჯულ ლიმიტს შორის არსებული სხვაობა (მათი არსებობის შემთხვევაში), შემდეგ დარიცხული პირგასამტეხლო, საპროცენტო სარგებელი და ბოლოს გახარჯული საკრედიტო ლიმიტი. აღნიშნული რიგითობა შეიძლება შეიცვალოს ბანკის შეხედულებისამებრ.
- 2.8. დავალიანების დაფარვასთან დაკავშირებით მხარეები თანხმდებიან:
 - 2.8.1. კლიენტი ვალდებულია, რომ გადახდის თარიღისათვის, იმ ანგარიშზე, რომელზედაც არის დაშვებული საკრედიტო ლიმიტი, მინიმუმ იქონიოს მინიმალური გადასახადის დასაფარად საჭირო თანხები.
 - 2.8.2. თუ გადახდის თარიღისათვის იმ ანგარიშზე, რომელზედაც არის დაშვებული საკრედიტო ლიმიტი, არ არის მინიმალური გადასახადის დასაფარად საკმარისი სახსრები, ბანკი უფლებამოსილია (და არა ვალდებული), რომ გადახდის დღეს, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, კლიენტის მიერ ბანკში გახსნილი ნებისმიერი ანგარიშიდან (მათ შორის სადეპოზიტო) ჩამოწეროს წინამდებარე პირობების შესაბამისად წარმოქმნილი ნებისმიერი სახის დავალიანება 2.7 პუნქტით განსაზღვრული რიგითობით. თუ დავალიანების თანხა და ანგარიშზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკი თავად განახორციელებს კონვერტაციას გადახდის თარიღისათვის ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით. კონვერტაციის საკომისიო ეკისრება კლიენტს.
 - 2.8.3. ბანკი უფლებამოსილია და არა ვალდებული, რომ კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, კლიენტის ვადაგადაცილებული დავალიანება ჩამოწეროს კლიენტის მიერ ბანკში გახსნილი ნებისმიერი ანგარიშებიდან (მათ შორის სადეპოზიტო), 2.7 პუნქტით განსაზღვრული რიგითობით. თუ დავალიანების თანხა და ანგარიშზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკი თავად განახორციელებს კონვერტაციას გადახდის თარიღისათვის ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით, კონვერტაციის საკომისიო ეკისრება კლიენტს.
 - 2.8.4. დავალიანების დასაფარად არ შეიძლება იყოს გამოყენებული შესაბამის ანგარიშზე არსებული ის სახსრები, რომლებიც თავად წარმოადგენენ რაიმე სახის საკრედიტო ლიმიტს. აღნიშნული პირობა არ ზღუდავს ბანკის უფლებას, რომ კლიენტის დავალიანების დასაფარად გამოიყენოს კლიენტის სხვა ანგარიშზე არსებული ხელმისაწვდომი თანხები.

3. განსაკუთრებული პირობები

- 3.1. კლიენტის მიერ დამატებითი ბარათის დამზადების შემთხვევაში დამატებითი ბარათის მფლობელს მიეცემა უფლება ისარგებლოს კლიენტის საბარათე ანგარიშით, ამავე ანგარიშზე დაშვებული საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში. დამატებით ბარათზე სრულად ვრცელდება ძირითადი ბარათით მომსახურების პირობები.

- 3.2. დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე და წარმოქმნილი დავალიანების დაფარვაზე კლიენტი (ძირითადი ბარათის მფლობელი) პასუხს აგებს სრულად.
- 3.3. ბარათის დაკარგვის/დაზიანების/ვადის გასვლის/კლიენტის სურვილის შემთხვევაში მისი განახლება მოხდება კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე. ბარათის განუახლებლობა არ აჩერებს პროცენტის/პირგასამტეხლოს დარიცხვას და არსებული დავალიანების დაფარვა გრძელდება წინამდებარე პირობების შესაბამისად.
- 3.4. ბანკი და კლიენტი დაიცავენ წინამდებარე პირობების და მასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობის კონფიდენციალობას იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება:
- ა) იმ ინფორმაციას, რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი მხარეთაგან დამოუკიდებლად.
 - ბ) ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან.
 - გ) ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც მოხდება მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. მიუხედავად ამ მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვებისა, წინამდებარე პირობების საფუძველზე კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს, კლიენტთან და წინამდებარე პირობებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია (პოზიტიური და/ან ნეგატიური), გადასცეს სს „კრედიტინფო საქართველოს“ (რეგისტრირებული 14.02.2005 წ. მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის #06/5-51) მონაცემთა ბაზაში შესატანად, რის საფუძველზეც ეს ინფორმაცია შესაძლოა გახდეს საჯაროდ და ხელმისაწვდომი სხვა პირთათვის. ასევე მოიძიოს კლიენტის შესახებ ინფორმაცია აღნიშნული მონაცემთა ბაზიდან.
- 3.5. ბარათთან დაკავშირებით მხარეთა სხვა უფლებები და მოვალეობები ასევე რეგულირდება საბანკო ბარათით მომსახურების ძირითადი პირობებით, აღნიშნულ და წინამდებარე პირობებს შორის კოლიზიის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება წინამდებარე პირობებს.
- 3.6. საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადაა 1 (ერთი) წელი.
- 3.7. თუ კლიენტის მიერ სრულად და ჯეროვნად სრულდება საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის პირობები, საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის ვადა გრძელდება ერთი წლით. ეს წესი მოქმედებს ყოველი ერთწლიანი პერიოდის დასრულების შემდეგ. ამასთან, ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს და შემთხვევაში უარი თქვას საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის ვადის გაგრძელებაზე. ბანკის მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ვადის გასვლის შემდგომ დღეს კლიენტი ვეღარ შეძლებს ისარგებლოს დაშვებული საკრედიტო ლიმიტით და ვალდებული იქნება 1 დღის ვადაში სრულად დაფაროს ვადის ბოლო დღისათვის გახარჯული ლიმიტი, მასზე დარიცხულ პროცენტთან და პირგასამტეხლოსთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთად. აღნიშნულ შემთხვევაში ვადაგადაცილებად ჩაითვლება ვადის გასვლის თარიღიდან 48 საათში კლიენტის მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა და გახარჯულ ლიმიტზე გაგრძელება პროცენტის და პირგასამტეხლოს დარიცხვა.
- 3.8. საკრედიტო ლიმიტის ვადის გაგრძელებისას კლიენტს ეკისრება პროლონგაციის საკომისიოს გადახდა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
- 3.9. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, თუ კლიენტი ვადის გასვლის შემდგომ დღეს ვეღარ შეძლებს ისარგებლოს დაშვებული საკრედიტო ლიმიტით, ნიშნავს რომ ბანკმა უარი თქვა საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის ვადის გაგრძელებაზე.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 4.1. ბანკი უფლებამოსილია:
- 4.1.1. კლიენტის განცხადების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება საკრედიტო ლიმიტის გაზრდის ან შემცირების შესახებ.
 - 4.1.2. კლიენტის საბარათო ანგარიშზე ვადაგადაცილებული დავალიანების არსებობის შემთხვევაში მოითხოვოს კლიენტის ნებისმიერი აქტივის რეალიზაცია.

- 4.1.3. მოსთხოვოს კლიენტს საკრედიტო ლიმიტის უზრუნველყოფა იპოთეკის, გირაოს ან თავდებობის სახით.
 - 4.1.4. ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე პირობები ან/და ტარიფები და განათავსოს ისინი შეცვლილი სახით ბანკის ვებ გვერდზე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესახებ, წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული წესით, კლიენტს ეცნობება ცვლილების განხორციელებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.
 - 4.1.5. ცალმხრივად შეაჩეროს/გააუქმოს საკრედიტო ლიმიტი და კლიენტისაგან მოითხოვოს გახარჯული ლიმიტის დაბრუნება მასზე დარიცხულ პროცენტთან და პირგასამტეხლოსთან ერთად, თუ:
 - 4.1.5.1. კლიენტი დაარღვევს წინამდებარე პირობებს.
 - 4.1.5.2. გაუარესდება კლიენტის ფინანსური მდგომარეობა ან ბანკს მიაჩნია, რომ შეიქმნება ამგვარი გარემოების დადგომის საფრთხე.
 - 4.1.5.3. კლიენტის მოქმედება მიმართულია ბანკის მოტყუებისკენ.
 - 4.1.5.4. კლიენტი არ მოახდენს საკრედიტო ლიმიტის უზრუნველყოფას, ბანკის შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში.
 - 4.1.6. გააუქმოს საკრედიტო ლიმიტი, თუ კლიენტმა 6 თვის განმავლობაში არ ისარგებლა დაშვებული ლიმიტით.
 - 4.1.7. პირველივე ვადაგადაცილებისას განახორციელოს ბარათის (ძირითადი, დამატებითი) ბლოკირება.
 - 4.1.8. უარი განაცხადოს საკრედიტო ლიმიტის გაზრდის შესახებ კლიენტის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ან დააკმაყოფილოს მოთხოვნილზე ნაკლები ოდენობით ლიმიტი..
 - 4.1.9. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების მესამე პირისათვის დათმობის შემთხვევაში, კლიენტის შესახებ სრული ინფორმაცია გადასცეს აღნიშნულ მესამე პირს.
 - 4.1.10. კლიენტის შესახებ ინფორმაცია გამოიყენოს ვითიბი ჯგუფის ჯგუფური ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის.
 - 4.1.11. ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება საკრედიტო ლიმიტის გაზრდის შესახებ და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული წესით აცნობოს კლიენტს. კლიენტის მიერ გაზრდილი ლიმიტით სარგებლობის შემდეგ ჩაითვლება, რომ კლიენტი ეთანხმება ბანკის მიერ ლიმიტის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებას.
 - 4.1.12. ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება საკრედიტო ლიმიტის შემცირების შესახებ და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული წესით აცნობოს კლიენტს. შეტყობინების შემდეგ ბანკი უფლებამოსილია კლიენტის ანგარიშზე არსებული სახსრები მიმართოს ლიმიტის შესამცირებლად.
- 4.2. კლიენტისათვის პროცენტის, პირგასამტეხლოს/საკომისიოს დაკისრება/გადახდევინება წარმოადგენს ბანკის უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას. შესაბამისად, ბანკი უფლებამოსილია არ მიიღოს გადაწყვეტილება კლიენტისათვის მათი სრულად ან ნაწილობრივ დაკისრების შესახებ.
 - 4.3. კლიენტი უფლებამოსილია:
 - 4.3.1. მიმართოს ბანკს თხოვნით საკრედიტო ლიმიტის გაზრდის ან შემცირების შესახებ.
 - 4.3.2. წარადგინოს ბანკში პრეტენზიები თავსართით განსაზღვრული ფორმებით.
 - 4.4. კლიენტი ასევე ვალდებულია:
 - 4.4.1. საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადის განმავლობაში განახორციელოს ყოველთვიური მინიმალური გადასახადი გადახდა.
 - 4.4.2. კლიენტის მიერ ბანკში გახსნილ ანგარიშებზე განხორციელებული ნებისმიერი ჩარიცხვიდან პირველ რიგში დაფაროს ბანკის მიმართ არსებული დავალიანება.
 - 4.5. ბანკი ვალდებულია არაუგვიანეს ბილინგის დღის მომდევნო საბანკო დღისა კლიენტს მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით აცნობოს მინიმალური გადასახადის ოდენობა.

5. დასკვნითი დებულებები

- 5.1. კლიენტი ანიჭებს ბანკს უპირობო უფლებას მასზედ, რომ მიიღოს კლიენტის შესახებ ინფორმაცია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან.
- 5.2. კლიენტს ეკისრება ვალდებულება, რომ მინიმალური გადასახადის შესახებ ინფორმაციას გაეცნოს ინტერნეტ ბანკში, მისთვის გადაცემული მომხმარებლის სახელის და პაროლის გამოყენებით. ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი შეტყობინებები კლიენტის მიერ ჩაითვლება მიღებულად თუ ტელეფონის ნომერი გამორთულია ან გასულია მომსახურების ზონიდან, ან თუ ტელეფონის ასეთი ნომრით აღარ სარგებლობს კლიენტი და ახალი ნომრის შესახებ მას ბანკისათვის წერილობით არ უცნობებია.
- 5.3. წინამდებარე პირობებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში, დავალიანების კლიენტისაგან ამოღების მიზნებისათვის, კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს კლიენტთან და წინამდებარე პირობებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია გადასცეს ასევე სხვა მესამე პირებს.
- 5.4. ნებისმიერი დავა, გამომდინარე ამ ხელშეკრულებიდან და მასთან დაკავშირებული აქცესორული ხელშეკრულებიდან, დაკავშირებული მათ გაუქმებასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან (მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებასთან), ასევე წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობასა და არსებობასთან დაკავშირებული საკითხები განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატას“ (საიდენტიფიკაციო N 205267389), რომლის იურისდიქციას მხარეები აღიარებენ ანულირების გარეშე. აღნიშნული არბიტრაჟი საქმეს განიხილავს თავისი დებულებით დადგენილი წესით. საქმეს, მისი სირთულიდან გამომდინარე, განიხილავს არბიტრაჟი ერთი ან სამი არბიტრის შემადგენლობით. არბიტრებს ნიშნავს და მათ რაოდენობას განსაზღვრავს არბიტრაჟი. არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ ექვემდებარება აღსრულებას არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და არ საჭიროებს სასამართლოს მიერ ცნობასა და აღსრულებას.
- 5.5. მხარეები დამატებით იღებენ ვალდებულებას მისამართის ან/და ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შეცვლის შემთხვევაში აცნობონ იგი არბიტრაჟს, წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრაჟის მიერ კორესპონდენცია გაგზავნილი იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისამართის მიხედვით და კორესპონდენცია (მათ შორის გზავნილი, გარკვეულ საარბიტრაჟო მოქმედებათა შესახებ შეტყობინება, განკარგულება, გადაწყვეტილება და ა.შ.) ჩაითვლება ჩაბარებულად (შესაბამისი თანმდევი სამართლებრივი შედეგებით).~
- 5.6. გარდა ხელშეკრულების 5.2 პუნქტით შეთანხმებული შეტყობინების წესისა, ბანკს უფლება აქვს შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი გადასცეს კლიენტს ან გაუგზავნოს შეტყობინება/დოკუმენტი (კურიერის ან საფოსტო ორგანიზაციის მეშვეობით) შესაბამის განაცხადში მითითებულ მისამართზე ან კლიენტის იმ მისამართზე, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში/მითითებულ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს შესაბამის განაცხადში მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს კლიენტის იმ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა ნებისმიერი ამ პუნქტში დათქმული ფორმით ჩაითვლება კლიენტისათვის შეტყობინების ჩაბარებად. შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა ბანკის სახელით ბანკის თანამშრომლის მიერ ტელეფონის ნომრიდან მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით ან ელექტრონული ფოსტით ზემოაღნიშნულ რეკვიზიტებზე ჩაითვლება კლიენტისათვის შეტყობინების ჩაბარებად.

5.7. შეტყობინება კლიენტის მიერ მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება:

- 5.7.1 პირადად მიწოდების შემთხვევაში - შეტყობინების ან სხვა დოკუმენტის კლიენტისათვის ჩაბარების დღეს.
 - 5.7.2 კურიერის ან საფოსტო ორგანიზაციის მეშვეობით შეტყობინების ან სხვა დოკუმენტის გაგზავნის შემთხვევაში - კურიერის/საფოსტო ორგანიზაციისთვის ჩაბარების დღიდან მე-5 კალენდარულ დღეს, ან კლიენტისათვის ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი.
 - 5.7.3 ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - კლიენტის ელექტრონული ფოსტის სერვერიდან (მისამართიდან) ბანკის მიერ გაგზავნილი შეტყობინების მიღების შესახებ დასტურის მიღების დღეს ან გაგზავნიდან მომდევნო დღეს, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი.
 - 5.7.4 ნებისმიერი სხვა საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - გაგზავნის თარიღიდან მეორე დღეს.
- 5.8. ბანკის შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი კლიენტზე მიღებულად/ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ბანკს შეტყობინება დაუბრუნდა გაგზავნილ მისამართზე კლიენტის ადგილსამყოფელის/საცხოვრებელი ადგილის არ არსებობის გამო ან კლიენტი უარს განაცხადებს შეტყობინების ან დოკუმენტის მიღებაზე/ჩაბარებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას ან ბანკი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიიღებს კლიენტის ელექტრონული ფოსტის მისამართის გაუქმების ან არ არსებობის შესახებ შეტყობინებას. თუ მოხდა შესაბამის განაცხადში მითითებული კლიენტის რომელიმე რეკვიზიტის/საკონტაქტო მონაცემის შეცვლა და ამის შესახებ წერილობით არ ეცნობება ბანკს, შეტყობინება/დოკუმენტი კლიენტის მიერ მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება მითითებულ რეკვიზიტზე/საკონტაქტო მონაცემზე გაგზავნის შემთხვევაში ბანკი არ არის ვალდებული წერილობით შეატყობინოს კლიენტს მისამართის შეცვლის ფაქტი, რადგან კლიენტისათვის ცნობილია, რომ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ სათავო დაწესებულებისა და მისი ფილიალების/სერვის ცენტრების მისამართები ასახულია შემდეგ ვებ-გვერდზე-www.vtb.ge.